იურიდიული დახმარების სამსახური

მის: თამარ მეფის გამზ. №14, 0112
თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 37 „2“ „ივნისი“ 2016 წ.

„„მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N25 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„„მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის #25 გადაწყვეტილების მე–5 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

შევიდეს ცვლილებები და დამატებები „ „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N25 გადაწყვეტილებაში, კერძოდ:

ა) გადაწყვეტილების მე–13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მას შემდეგ, რაც რეესტრის ადვოკატი დაასრულებს პირის დაცვას, სამართალწარმოების ერთ-ერთი სტადიის ან საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ, დასრულებიდან შემჭიდროებულ ვადაში საქმის წარმოების დასრულებიდან ან ერთი სტადიის დასრულებიდან სამი თვის ვადაში (განსაკუთრებულ/გამონაკლის შემთხვევებში თუკი მისი მიმართვისა და ძალისხმევის მიუხედავად საქმის მასალები არ ჩაბარდა, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე ეს ვადა შეიძლება გაიზარდოს 6 თვემდე)

ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრს წარუდგენს: წერილს წარმოებული სისხლის სამართლის საქმის შეფასებისა და ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე (დანართი №4), დოკუმენტების სიას (დანართი №5), წარმოებული საქმის თავფურცელს (დანართი №6), მისი მონაწილეობით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე შევსებულ ანკეტას (დანართი №7), ანგარიშგებას განხორციელებული საქმიანობის შესახებ და იმ წერილობითი დოკუმენტების (განცხადება, დადგენილება, განჩინება, ორდერი, შუამდგომლობა, საჩივარი და სხვა) ასლებს, რომლებიც შედგენილ იქნა მის მიერ ან/და ადასტურებს მის მონაწილეობას სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებში. ასევე, საჭიროებისამებრ, სისხლის სამართლის საქმის სხვა მასალების ასლებს.

გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ხათუნა ფურელიანი

წევრები :

კახაბერ სოფრომაძე

მარინა კვაჭაძე

ზაქრო გვიშიანი

ნათია ჩირიკაშვილი

ელზა ლეშკაშელი

ილია ჭანტურაია

რეესტრის ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქმეში ჩართვის პროცედურა

თავი I

ადვოკატთა რეესტრის ფორმირება

მუხლი 1.

1. რეესტრი არის იურიდიული დახმარების სამსახურის (შემდგომში – სამსახური) მიერ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (შემდგომში – ასოციაცია) მონაცემების საფუძველზე შედგენილი იურიდიული დახმარების განმახორციელებელი ადვოკატების სია.

2. რეესტრის ფორმირება ხორციელდება ღია კონკურსის გზით.

3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, გაწევრიანებულია ასოციაციაში.

4. სამსახური უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, კონკურსში მონაწილეთათვის დააწესოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

5. კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატების რეესტრში ჩარიცხვა და საჭიროების შემთხვევაში მათი ამორიცხვა ხორციელდება სამსახურის დირექტორის გადაწყვეტილებით.

6. რეესტრის ადვოკატსა და სამსახურს შორის ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.

მუხლი 2

1.რეესტრი შედგება რეგიონული რეესტრებისაგან. რეგიონულ რეესტრში ადვოკატთა რიგითობა განისაზღვრება ანბანური პრინციპით (ადვოკატის გვარის პირველი ასოს მიხედვით).

2. ერთი გვარის მქონე ადვოკატთა რიგითობა განისაზღვრება მათი სახელების პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში მომდევნო ასოს მიხედვით. იდენტური სახელებისა და გვარების შემთხვევაში ადვოკატთა რიგითობა განისაზღვრება წილისყრით.

თავი II

რეესტრის ადვოკატის სისხლის სამართლის საქმეში

ჩართვის პროცედურა

მუხლი 3

1. რეესტრის ადვოკატის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვას, რეგიონული რეესტრის მონაცემების საფუძველზე, უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების ბიურო (შემდგომში –

ბიურო), შესაბამისი იურიდიული დახმარების მიმწოდებელი (შემდგომში – მიმწოდებელი) ან საკონსულტაციო ცენტრი.

2. სისხლის სამართლის საქმეზე რეესტრის ადვოკატს ნიშნავს ბიუროს უფროსი, მიმწოდებელი ან საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი ფიზიკური პირის განცხადების, პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე, თუ არსებობს „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით, სამსახურის დებულებით ან/და ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–6 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა.

3. რეესტრის ადვოკატის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება ადვოკატსა და სამსახურს შორის დადებული ხელშეკრულებით.

4. რეესტრის ადვოკატის წერილობითი განცხადების საფუძველზე, სამსახურის დირექტორის თანხმობით, კონკრეტული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ხელშეკრულების შესაბამის პუნქტში ცვლილების განხორციელებით, შესაძლებელია შეიცვალოს რეესტრის ადვოკატის სამოქმედო ტერიტორია.

5. ბიუროს უფროსის/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტის შეტყობინების საფუძველზე, სამსახურის დირექტორის თანხმობით, რეესტრის ადვოკატმა შესაძლებელია იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირის ინტერესების დაცვა განახორციელოს მისთვის არასამოქმედო ტერიტორიაზე, რაც ექვემდებარება დადგენილი წესით ანაზღაურებას;

6. რეესტრის ადვოკატი, საქმის წარმოებისას სარგებლობს სამსახურის მიერ გაწერილი რეკომენდაციებით, საქმიანობის სახელმძღვანელო წესებით, ინსტრუქციებითა და განმარტებებით;

მუხლი 4

1. მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, ბიურო/საკონსულტაციო ცენტრი, რიგითობის წესის შესაბამისად ტელეფონის მეშვეობით უკავშირდება რეესტრის ადვოკატს სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო არასრულწლოვნის საქმეში ადვოკატის ჩართვის შემთხვევაში, სიით მომდევნო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატს. თუ ადვოკატმა უარი განაცხადა საქმეში ჩართვაზე, ან ვერ მოხერხდა მასთან დაკავშირება, ბიურო/საკონსულტაციო ცენტრი უკავშირდება სიით მომდევნო ადვოკატს, ხოლო არასრულწლოვნის საქმეში ადვოკატის ჩართვის შემთხვევაში, სიით მომდევნო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატს. (27.01.2016 N35)

2. სატელეფონო საუბრის დასრულების შემდგომ, ბიუროს უფროსის/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტის მიერ დაუყოვნებლივ დგება სატელეფონო შეტყობინების ოქმი (დანართი №1), რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის დასახელება;

ბ) სატელეფონო საუბრის დრო;

გ) სატელეფონო საუბრის საფუძველი;

დ) ადვოკატის დანიშვნის შესახებ ფიზიკური პირის განცხადების, პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილების ან სასამართლოს განჩინების სარეგისტრაციო ნომერი;

ე) ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის კონკრეტული შემთხვევის აღწერა;

ვ) სისხლის სამართლის საქმის ნომერი;

ზ) ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლის ვინაობა;

თ) რეესტრის ადვოკატის ვინაობა;

ი) სატელეფონო საუბრის შინაარსი;

კ) სატელეფონო საუბრის შედეგი;

ლ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

მუხლი 5

1. რეესტრის ადვოკატის საქმეში ჩართვის, ან საქმეში ჩართვაზე უარის შემთხვევაში, ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის უფლებამოსილი პირი ჩანაწერს აკეთებს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა დატვირთვის სპეციალურ ელექტრონულ ჟურნალში (დანართი №2).

მუხლი 6

რეესტრის ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეებში ჩართვის შესახებ ინფორმაცია საჯაროა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 7

1. რეესტრის ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთვება ფიზიკური პირის განცხადების, პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე.

2. რეესტრის ადვოკატი ვალდებულია, საქმეში ჩართვის შემდეგ, გონივრულ ვადაში, ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრს წარუდგინოს დადგენილი წესით გაცემული ორდერის ასლი. ორდერის ასლის წარდგენა შესაძლებელია როგორც პირადად, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მუხლი 8

1. საქმეში ჩართვის შემდეგ, რეესტრის ადვოკატი დასაცავ პირთან პირველივე შეხვედრისას ავსებს ანკეტას (დანართი №7).

2. რეესტრის ადვოკატი, საქმეში ჩართვისთანავე, იწყებს შესაბამის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებას. ადვოკატმა უნდა იქონიოს მის მიერ, ან მისი მონაწილეობით შედგენილი საპროცესო დოკუმენტების, საქმეზე შუალედური და შემაჯამებელი გადაწყვეტილებების, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, საქმის სხვა მასალების ასლები.

თავი III

რეესტრის ადვოკატის უფლება-მოვალეობები

მუხლი 9

1. რეესტრის ადვოკატს უფლება აქვს:

ა) დაინიშნოს და მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მინიჭებულ უფლებამოსილებათა სრულად გამოყენებით;

ბ) მოითხოვოს მის მიერ საქმეზე განხორციელებული მოქმედებების ანაზღაურება ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ოდენობითა და წესით.

2. რეესტრის ადვოკატი უფლებამოსილებას ახორციელებს ამ გადაწყვეტილებითა და სამსახურთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. საქმიანობისას იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონითა და დასაცავი პირის ინტერესებით. დაუშვებელია რეესტრის ადვოკატის საქმიანობაში ჩარევა.

მუხლი 10

1. რეესტრის ადვოკატი ვალდებულია:

ა) საქმეში ჩართვის შემდეგ, დაუყოვნებლივ გაეცნოს საქმის მასალებს და ჯეროვნად წარმოადგინოს დასაცავი პირის ინტერესები სისხლის სამართლის პროცესში, ხოლო საქმეში ჩართვაზე უარის შემთხვევაში, სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს გაცხადებული უარის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი;

ბ) დასაცავი პირის ინტერესების დაცვის მიზნით განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შესაბამისი მოქმედება;

გ) დაიცვას კონფიდენციალობა;

დ) დროულად შეატყობინოს დასაცავ პირს საქმის განხილვის ეტაპების, მისი შედეგებისა და ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესახებ;

ე) მოუმზადოს დასაცავ პირს შესაბამის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი დოკუმენტი; წარადგინოს შესაბამისი შუამდგომლობები, საჩივრები, გააკეთოს განცხადებები და სხვა.

ვ) დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები;

2. საკონტაქტო მონაცემების შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრს.

3. რეესტრის ადვოკატს ეკრძალება:

ა) რაიმე ანაზღაურების ან საჩუქრის მიღება იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც იგი ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის მიერ დაინიშნა;

ბ) ჰონორარის სანაცვლოდ დაიცვას ის პირი, ვის ინტერესებსაც იგი იცავდა სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ წინა სტადიაზე ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის მოთხოვნით.

თავი IV

რეესტრის ადვოკატის პასუხისმგებლობა

მუხლი 11

1. რეესტრის ადვოკატის მიერ ამ გადაწყვეტილებით ან/და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, ადვოკატის საქმეში ჩართვაზე არასაპატიო მიზეზით სისტემატურად უარის თქმა, საქმეზე განხორციელებული საპროცესო მოქმედების საფასურის განსაზღვრისა და ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და აღნიშნულის ერთობლიობაში ამსახველი ანგარიშგების ფორმის სისტემატურად არასაპატიო მიზეზით საქმის წარმოების დადგენილი წესის დაუცველად ან დაგვიანებით წარმოდგენა, ან საერთოდ წარმოუდგენლობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტისა და ადვოკატის რეესტრიდან ამორიცხვის საფუძველი, რის შესახებაც სამსახური ორი კვირით ადრე ატყობინებს რეესტრის ადვოკატს;

2. რეესტრის ადვოკატი ვალდებულია შეტყობინების შემდგომაც, კანონით დადგენილი წესით, გააგრძელოს დასაცავი პირის ინტერესების დაცვა, სანამ არ მოხდება მის წარმოებაში მყოფი საქმეების სხვა ადვოკატისათვის გადაწერა, მაგრამ არაუმეტეს შეტყობინებიდან ორი კვირის ვადაში;

თავი V

რეესტრის ადვოკატის მიერ სისხლის სამართლის საქმის დასრულება

მუხლი 12

1. რეესტრის ადვოკატის მიერ საქმე დასრულებულად ითვლება თუ:

ა) დასრულდა დასაცავი პირის მიმართ წარმოებული გამოძიება ან სასამართლო განხილვა ერთ ინსტანციაში და დასაცავ პირს არ სურს იმავე ადვოკატის მომსახურება შემდგომ ინსტანციაში;

ბ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ დაკმაყოფილდა საკითხი ადვოკატის სისხლის სამართლის საქმიდან აცილების თაობაზე, რაც დასტურდება ადვოკატის მიერ ბიუროში/საკონსულტაციო ცენტრში საქმის სხვა მასალებთან ერთად წარმოდგენილი ადვოკატის აცილების შესაბამისი დადგენილებით, განჩინებით;

გ) დასაცავმა პირმა სამართალწარმოების განხორციელებისას დაკარგა საპროცესო სტატუსი.

2. განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ ეს განპირობებულია დასაცავი პირის ინტერესებით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქმეში ჩართული რეესტრის ადვოკატი თავისი ან თვით დასაცავი პირის შუამდგომლობის საფუძველზე პროცესის მწარმოებელი ორგანოს დადგენილებით, განჩინებით შეიძლება აცილებულ იქნას სისხლის სამართლის

საქმიდან. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ დაცვასთან დაკავშირებით შესრულებული სამუშაო ექვემდებარება დადგენილი წესით ანაზღაურებას.

3. თუ საქმის წარმოების ერთი სტადიის დასრულების შემდეგ, დასაცავ პირს არ აქვს სურვილი იმავე ადვოკატმა მისი ინტერესების დაცვა მომდევნო სტადიაზეც გააგრძელოს ან/და არ სურს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციაში, დასაცავი პირი, აღნიშნულის შესახებ, პირადად ან მისი წარმომადგენლის მეშვეობით წარუდგენს განცხადებას შესაბამის ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრს, სხვა შემთხვევაში ადვოკატი აგრძელებს დაცვის განხორციელებას შემდგომ ინსტანციებში.

შრომის ანაზღაურება

თავი VI

რეესტრის ადვოკატის მიერ შესრულებული

სამუშაოს ანაზღაურება სისხლის სამართლის საქმეზე

მუხლი 13

1. მას შემდეგ, რაც რეესტრის ადვოკატი დაასრულებს პირის დაცვას, სამართალწარმოების ერთ-ერთი სტადიის ან საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ, დასრულებიდან შემჭიდროებულ ვადაში საქმის წარმოების დასრულებიდან ან ერთი სტადიის დასრულებიდან სამი თვის ვადაში (განსაკუთრებულ/გამონაკლის შემთხვევებში თუკი მისი მიმართვისა და ძალისხმევის მიუხედავად საქმის მასალები არ ჩაბარდა, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე ეს ვადა შეიძლება გაიზარდოს 6 თვემდე) ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრს წარუდგენს: წერილს წარმოებული სისხლის სამართლის საქმის შეფასებისა და ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე (დანართი №4), დოკუმენტების სიას (დანართი №5), წარმოებული საქმის თავფურცელს (დანართი №6), მისი მონაწილეობით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე შევსებულ ანკეტას (დანართი №7), ანგარიშგებას განხორციელებული საქმიანობის შესახებ და იმ წერილობითი დოკუმენტების (განცხადება, დადგენილება, განჩინება, ორდერი, შუამდგომლობა, საჩივარი და სხვა) ასლებს, რომლებიც შედგენილ იქნა მის მიერ ან/და ადასტურებს მის მონაწილეობას სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებში. ასევე, საჭიროებისამებრ, სისხლის სამართლის საქმის სხვა მასალების ასლებს. (02.03.2016 N37)

2. ბიუროს უფროსი/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი რეესტრის ადვოკატისგან წარმოებული საქმის ბიუროში/საკონსულტაციო ცენტრში ჩაბარებამდე და შემდგომ სამსახურის აპარატში ასანაზღაურებლად წარდგენამდე ამოწმებს, შეესაბამება თუ არა სიაში (დანართი №5) არსებული დოკუმენტების ჩამონათვალი წარმოდგენილი საქმის მასალებს და შეუსაბამობის შემთხვევაში ადვოკატს აძლევს ზეპირ განმარტებასა და მითითებას.

მუხლი 14

რეესტრის ადვოკატი ბიუროში/საკონსულტაციო ცენტრში ანაზღაურების მიზნით წარდგენილ საქმეს ურთავს წერილს წარმოებული საქმის შეფასებისა და ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე (დანართი №4), საქმის მასალების ქრონოლოგიის მიხედვით შედგენილი დოკუმენტების სიას საქმის ფურცლების ნუმერაციის მითითებით (დანართი№5), რომლის შემდეგაც საქმეს

სიას საქმის ფურცლების ნუმერაციის მითითებით (დანართი№5), რომლის შემდეგაც საქმეს დაერთვის სატელეფონო შეტყობინების ოქმი (დანართი №1), წარმოებული საქმის თავფურცელი (დანართი №6), ანკეტა (დანართი №7) და ანგარიშგების ფორმა.

მუხლი 15

რეესტრის ადვოკატის მიერ ბიუროში/საკონსულტაციო ცენტრში ასანაზღაურებლად წარდგენილი საქმის მასალები, სათანადო შეფასებისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, ბიუროს უფროსის/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტის მიერ წერილით (დანართი №8) იგზავნება სამსახურის დირექტორთან. ბიუროს უფროსი/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი საქმის მასალებს თან ურთავს სატელეფონო შეტყობინების ოქმს (დანართი №1).

მუხლი 16

1. სამსახური რეესტრის ადვოკატს სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისათვის ერთჯერადად უხდის თანხას.

2. ერთჯერადი ანაზღაურება რეესტრის ადვოკატის საქმეში ჩართვისათვის მოიცავს ადვოკატის მიერ ტრანსპორტირებისა და საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც განისაზღვრება დანართის შესაბამისად (დანართი №10).

3. საქმეში ჩართვის ზუსტ დროდ ითვლება პროცესის მწარმოებელი ორგანოს უფლებამოსილი პირის, ფიზიკური პირის წერილობითი მომართვისა თუ სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე, ბიუროს უფროსის/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტის მიერ რეესტრის ადვოკატისათვის საქმეში ჩართვის შესახებ სატელეფონო შეტყობინებით ადვოკატისგან თანხმობის მიღების დრო, რაც ფიქსირდება შესაბამის სატელეფონო შეტყობინების ოქმში.

მუხლი 17

რეესტრის ადვოკატთა მიერ სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებული მოქმედებები ექვემდებარება დანართით გათვალისწინებულ ანაზღაურებას (დანართი №10).

მუხლი 18

სისხლის სამართლის საქმეზე დასაცავი პირის სასარგებლოდ დამდგარი სამართლებრივი შედეგი, რომელიც გამოწვეულია ადვოკატის აქტიური და ქმედითი ძალისხმევით, ექვემდებარება დანართით გათვალისწინებულ ანაზღაურებას (დანართი №10).

მუხლი 19

1. რეესტრის ადვოკატის შრომის ანაზღაურება განხორციელდება მას შემდეგ, რაც სამსახური შეამოწმებს ადვოკატის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალების სისწორესა და საკმარისობას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით განხორციელებულ მოქმედებებთან.

2. სამსახური ახორციელებს რეესტრის ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესითა და

ოდენობით, უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, ადვოკატის პირად საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

3. ანგარიშსწორება ხდება ყოველი თვის ბოლომდე იმ სამუშაოსათვის, რომლის შესახებ ანგარიშგება და ამ გადაწყვეტილების მე-13 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლები ადვოკატის მიერ წარდგენილი იქნება შესაბამისი თვის 11 რიცხვამდე, მის შემდგომ წარდგენილი საქმის მასალების საფუძველზე ანაზღაურება შესაძლებელია მომდევნო თვის ბოლომდეც.

4. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით წარდგენილია საქმეების დიდი რაოდენობა, ან არსებობს სხვა ობიექტური მიზეზი, თანხის გაცემის ზემოაღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვით.

მუხლი 20

ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით სამსახურის აპარატში წარმოდგენილი საქმეთა შეფასების შემდეგ რეესტრის მენეჯერი, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, შემდგომი რეაგირებისთვის, წერილით (დანართი№9) მიმართავს სამსახურის დირექტორს, რასაც თან ერთვის რეესტრის ადვოკატთა ანგარიშგების დოკუმენტები - მათში არსებული რეესტრის მენეჯერის შეფასებებით, ადვოკატთა მიერ შესრულებული მოქმედებების ამსახველი დოკუმენტაცია და ასანაზღაურებელ საქმეთა სია.

მუხლი 21

სამსახურის აპარატში ასანაზღაურებლად წარმოდგენილ რეესტრის ადვოკატთა საქმეების აღრიცხვას აწარმოებს რეესტრის მენეჯერი სპეციალურ ელექტრონულ ჟურნალში (დანართი №3).

თავი VII

რეესტრის ადვოკატის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებული საპროცესო მოქმედებების ანაზღაურებაზე დროებით უარის თქმა

მუხლი 22

1. თუ რეესტრის ადვოკატის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალები ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთსაწინააღმდეგო ან/და ბუნდოვანი და შეუსაბამოა ანაზღაურების მოთხოვნასთან, ან/და შეიცავს ამ გადაწყვეტილების, სამსახურთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან/და ადვოკატის სახელმძღვანელო სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა დარღვევას, რეესტრის მენეჯერს, უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, შეუძლია გამოიტანოს დასაბუთებული დასკვნა განხორციელებული საპროცესო მოქმედებების ანაზღაურებაზე უარის ან დროებით უარის თქმის თაობაზე, რომელიც ხელმოსაწერად წარედგინება სამსახურის დირექტორს.

2. სამსახური რეესტრის ადვოკატს, დროებით უარის თქმის თაობაზე, დასკვნაში არგუმენტირებული ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს ერთი თვის ვადას.

3. ხარვეზის არაღმოფხვრის ან ნაწილობრივ აღმოფხვრის შემთხვევაში, სამსახური აანალიზებს საქმეში რეესტრის მენეჯერის მიერ დადასტურებულად მიჩნეულ აქტივობებს.

მუხლი 23

განხორციელებული მოქმედებების ანალიზებაზე დროებით უარის თქმის თაობაზე დასკვნის გამოტანის შემთხვევაში წყდება ამ გადაწყვეტილების მე–19 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის დინება და იგი თავიდან აითვლება ბიუროში/საკონსულტაციო ცენტრში ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის დღიდან, რომელიც, დადგენილი წესით, შესაბამისი ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის მიერ, იგზავნება სამსახურის დირექტორთან.

დანართი №1

სატელეფონო შეტყობინების ოქმი სისხლის სამართლის საქმეზე

ოქმი №

___ _____ 20 წელი

იურიდიული დახმარების ბიურო/საკონსულტაციო ცენტრი _____

_____

საუბრის დრო _____ სთ. ____ წთ.

სატელეფონო საუბრის საფუძველი _____

განცხადების, დადგენილების, განჩინების სარეგისტრაციო № ----------

ინტერესთა კონფლიქტის ან მისი წარმოქმნის საფრთხის კონკრეტული შემთხვევის მოკლე აღწერა

სისხლის სამართლის საქმის № _____

ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენელი _____

მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატი _____

სატელეფონო საუბრის შინაარსი: _____

_____

_____

_____

სატელეფონო საუბრის შედეგი:

€ ადვოკატმა თანხმობა განაცხადა საქმეში ჩართვაზე

€ ადვოკატმა უარი განაცხადა საქმეში ჩართვაზე

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: _____

დანართი №2

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა დატვირთვის სპეციალური ელექტრონული ჟურნალი სისხლის სამართლის საქმეებზე

_____ რეგიონული რეესტრი

№	შემოსული დოკუმენტის ნომერი და თარიღი	სასამართლო/პროცესის მწარმოებელი ორგანო/მოქალაქე, საიდანაც შემოვიდა მოთხოვნა	ბიუროში დარეგისტრირებული დოკუმენტის ნომერი და თარიღი	დასაცავი პირის გვარი, სახელი და საპროცესო სტატუსი	ადვოკატი, რომელთანაც მოხდა დაკავშირება და მისი რეგიონული სიითი ნომერი	სატელეფონო შეტყობინების ოქმის ნომერი და თარიღი	ადვოკატის საპასუხო პოზიცია(თანხმობა, უარი)	უარის შემთხვევაში განცხადების მიზეზი (მოკლედ)	საქმეში ჩართული ადვოკატი	საქმის ნომერი	დასრულებული საქმის ბიუროში წარდგენის თარიღი	საქმის ასანაზღაურებლად სამსახურის აპარატში წარდგენის თარიღი
1												
2												

დანართი №3

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა დატვირთვის სპეციალური ელექტრონული ჟურნალი სისხლის სამართლის საქმეებზე

რეესტრის მენეჯერის მიერ რეესტრის ადვოკატთა მიერ ნაწარმოებ საქმეთა აღრიცხვა

№	ასანაზღაურებელი საქმის აპარატში შემოსვლის თარიღი	ასანაზღაურებლად შემოსული საქმის ნომერი	ქალაქი/რაიონი – რეგიონული რეესტრი	ადვოკატი(სახელი და გვარი)	დასაცავი პირი (სახელი და გვარი)	საქმის სტადია	საქმეზე ხარვეზის დადგენის შესახებ დასკვნის ნომერი	საქმეზე ხარვეზის დადგენის შესახებ დასკვნის გაცემის თარიღი	ანაზღაურების ოდენობა (დაუბეგრავად)	ანაზღაურების გაცემის თარიღი
1										
2										

დანართი №4

წერილი წარმოებული სისხლის სამართლის საქმის შეფასებისა და ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე

____ _____ 20 წელი ქ. _____

ს.ს.ი.პ. იურიდიული დახმარების სამსახურის

_____ ბიუროს უფროსს/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტს,

ბატონ/ქალბატონ _____

ბატონო/ქალბატონო _____,

ჩემი მონაწილეობით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებული საპროცესო მოქმედების საფასურის განსაზღვრისა და ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით,წარმოგიდგენთ(ეჭვმიტანილ/ბრალდებულ/განსასჯელ/მსჯავრდებულ/გამართლებულ /დაზარალებულ) _____ ის საქმის დამადასტურებელ წერილობით დოკუმენტაციასა და ანაზღაურების შეფასების შესაბამის ანგარიშგების ფორმას.

დანართი: 1. ანგარიშგების ფორმა „ “ ( ) ფურცლად;

2. საპროცესო დოკუმენტები „ “ ( ) ფურცლად;

პატივისცემით,

_____ რეგიონული

რეესტრის ადვოკატი: /_____ _____/

დანართი №5

დოკუმენტების სია სისხლის სამართლის საქმეზე

	№		დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი ს ს ი ა		სულ ( )	
	1.		სატელეფონო შეტყობინების ოქმი		1 ფ.	
	2.		წარმოებული საქმის თავფურცელი		1 ფ.	
	3.		ანკეტა		3 ფ.	
	4.		ანგარიშგების ფორმა		11 ფ.	
	5.		განცხადება/დადგენილება/განჩინება			
	6.		ორდერი			
	7.					
	8.					
	9.					
	10.					
	11.					
	12.					
	13.					
	14.					
	15.					
	16.					
	17.					
	18.					
	19.					
	20.					

დანართი №6

წარმოებული სისხლის სამართლის საქმის თავფურცელი

_____იურიდიული დახმარების ბურო/საკონსულტანციო ცენტრი

საქმე № _____

რეესტრის ადვოკატი: _____

დასაცავი პირის სახელი, გვარი: _____

სტატუსი: ☐ ეჭვმიტანილი ☐ ბრალდებული ☐ განსასჯელი

☐ მსჯავრდებული ☐ გამართლებული ☐ დაზარალებული

საქმის მიღების თარიღი: _____

დამთავრების თარიღი: _____

შედეგი: _____

_____

_____

_____

დანართი №7

ანკეტა

€ ყველა შემდგომი მონაცემი ეხება დასაცავ პირს, რომელსაც განემარტა, რომ მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც და შესაძლოა აღნიშნული პერსონალური მონაცემები იურიდიული დახმარების სამსახურის მხრიდან დამუშავდეს იურიდიული დახმარების გაწევის ან/და გახდეს ხელმისაწვდომი რეესტრის ადვოკატის საქმიანობის შეფასების მიზნით.

1. დასაცავი პირის სახელი და გვარი:

_____

2. სქესი: ☐ მდედრობითი ☐ მამრობითი

3. დაბადების თარიღი: _____

4. ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი: _____

_____

5. ტელეფონი/ ელ. ფოსტა: _____

6. განცხადების შევსების ადგილი: ☐ ბიურო

☐ სხვა

7. ოჯახური მდგომარეობა: ☐ დაქორწინებული

☐ დაუქორწინებელი

☐ განქორწინებული

☐ ქვრივი

8. განათლება: ☐ არასრული საშუალო

☐ საშუალო

☐ სტუდენტი

☐ ტექნიკური განათლება

☐ უმაღლესი განათლება

☐ განათლების გარეშე

9. პროფესია: _____

10. სამუშაო ადგილი: _____

11. აქვს თუ არა ნასამართლობა: ☐ დიახ ☐ არა

12. სტატუსი: ☐ საქართველოს მოქალაქე

☐ უცხო ქვეყნის მოქალაქე

☐ მოქალაქეობის არმქონე

☐ უმუშევარი

☐ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

☐ არასრულწლოვანი

☐ მრავალშვილიანი

☐ მარტოხელა მშობელი

☐ პენსიონერი

☐ მარტოხელა პენსიონერი

☐ ლტოლვილი

☐ იძულებით გადაადგილებული პირი

13. შემოსავლის წყარო: ☐ დახმარება (არა სოციალური) რა სახის _____

☐ დროებითი სამუშაოები (რა სახის) _____

☐ კერძო ბიზნესი

☐ პენსია/სოციალური დახმარება

☐ ხელფასი

☐ შემოსავლის გარეშე

☐ ოჯახის სხვა წევრის კმაყოფაზე

☐ მეურნეობა

14. იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ გაიგო:

☐ ადრე უსარგებლია ჩვენი მომსახურებით

☐ არასამთავრობო ორგანიზაციიდან

☐ სხვა ადვოკატისგან

☐ მეგობრის/ნაცნობისგან

☐ პროკურორის/გამომძიებლისგან

☐ რეკლამის მეშვეობით

☐ სასამართლოში

☐ ჩვენს მიერ გამოცემული ბროშურების/ბუკლეტების მეშვეობით

☐ ყოფილი კლიენტისაგან

15. საქმესთან დაკავშირებით საკონტაქტო პირის მონაცემები (სახელი, გვარი, ტელეფონი, მისამართი)

_____

_____

დანართი №8

წერილი წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის შეფასებისა და ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე

____ _____20__ წელი ქ. _____

ს.ს.ი.პ. იურიდიული დახმარების

სამსახურის დირექტორს

ბატონ/ქალბატონ _____

სათანადო შეფასებისა და შემდგომი რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, გეგზავნებათ _____ რეგიონულ რეესტრში რიცხულ საზოგადოებრივ ადვოკატ _____ის მონაწილეობით (ეჭვმიტანილ/ბრალდებულ/განსასჯელ/მსჯავრდებულ/გამართლებულ/დაზარალებულ)_____ _____ის ინტერესების დასაცავად წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე განცორციელებული მოქმედებების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტაცია (საქმე#_____) და აღნიშნულის ერთობლიობაში ამსახველი, შესაბამისი ანგარიშის ფორმა.

დანართი: წერილობითი დოკუმენტაცია _____ ( ) ფურცლად

პატივისცემით,

იურიდიული დახმარების

სამსახურის _____ბიუროს უფროსი/საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი

/_____ _____/

დანართი №9

რეესტრის მენეჯერის წერილი სისხლის სამართლის საქმეზე შეფასებული ანაზღაურების უზრუნველსაყოფად შემდგომი რეაგირების შესახებ

____ _____ 20 __ წელი ქ. _____

ს.ს.ი.პ. იურიდიული დახმარების

სამსახურის დირექტორს

ბატონ/ქალბატონ _____

შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, წარმოგიდგენთ მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე გაწეული შრომის ანაზღაურების განმსაზღვრელ (წელი, თვე) შეფასებისა და ანგარიშგების დოკუმენტებს, ადვოკატთა მიერ შესრულებული მოქმედებების ამსახველ სრულ დოკუმენტაციას და ასანაზღაურებელ საქმეთა სიას.

დანართი: ანგარიშის დოკუმენტები „ “ ( ) სისხლის სამართლის საქმეზე „ ” ( ) ფურცლად

პატივისცემით,

რეესტრის მენეჯერი: /_____ _____/

ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი /____ _____/

დანართი №10

შრომის ანაზღაურების ოდენობა სისხლის სამართლის საქმეზე

(დანართში მითითებული შრომის ანაზღაურება არის დარიცხული და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება დაბეგვრას)

ერთჯერადი ანაზღაურების ოდენობა მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისათვის

დანაშაულის კატეგორია/სხვა	ანაზღაურების ოდენობა	
	სამუშაო დრო	არასამუშაო დრო
ნაკლებად მძიმე/მძიმე კატეგორიის დანაშაული	30	50
განსაკუთრებით მძიმე/მრავალეპიზოდიანი დანაშაული	35	55
რამდენიმე პირის ერთდროულად დაცვა	40	60

დანამატი ერთჯერადი ანაზღაურების ოდენობაზე
(აქტივობის მიხედვით)

სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატის აქტივობის მაჩვენებელი	ანაზღაურების ოდენობა
4-ზე მეტ საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა	15
8-ზე მეტ საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა	25
დასაცავი პირის სასარგებლოდ 5-ზე მეტი მტკიცებულების მოპოვება (საქმის ფაქტობრივი და იურიდიული გარემოებების შესახებ)	35

შეხვედრა დროებითი მოთავსების, პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის

დაწესებულებებში მყოფ დასაცავ პირთან

შეხვედრების რაოდენობა	ანაზღაურების ოდენობა
პირველი შეხვედრა	20
მეორე შეხვედრა	12
შემდგომი შეხვედრა	4

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა მიერ განხორციელებული მოქმედებების ანაზღაურების ოდენობა სისხლის სამართლის საქმეზე

წინასწარი გამოძიება/გამოძიება			
განხორციელებული მოქმედებები	ანაზღაურების ოდენობები		
	ნაკლებად მძიმე/მძიმე კატეგორია	განსაკუთრებით მძიმე/მრავალეპიზოდიანი	რამდენიმე პირის ერთდროულად დაცვა
1. საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობა			
ა) ამოღება	12	12	15
ბ) ჩხრეკა	12	12	15
გ) დათვალიერება	12	12	15
დ) ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის	12	12	15
ე) ამოცნობა	12	12	15
ვ) ბრალის წარდგენა	10	10	15
ზ) საგამოძიებო ექსპერიმენტი	15	20	25
თ) გვამის ექსჰუმაცია	35	35	35
ი) გამოკითხვა	12	12	15
კ) დაკითხვაში მონაწილეობის მიღება	7	7	10
ლ) დაზარალებულად ცნობაში მონაწილეობის მიღება	12	12	15
2. შუამდგომლობის მომზადება და წარდგენა	12	15	20
2[1]. საპროცესო შეთანხმების შესახებ განცხადების მომზადება და წარდგენა(აღნიშნული დოკუმენტი ერთ ს/ს საქმეზე ექვემდებარება მხოლოდ ერთჯერად ანაზღაურებას) (27.01.2016 N35)	10	10	10
3.საჩივრის მომზადება და წარდგენა	12	15	20

4. ადვოკატის მიერ მტკიცებულებების მოპოვება და საქმეზე დართვა:			
ა) მტკიცებულება ს/ს საქმის ფაქტობრივი და იურიდიული გარემოებების შესახებ	30	35	40
ბ) პიროვნების მახასიათებელი მტკიცებულება	10	10	15
5. დაცვის მხარის მიერ, შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე, ბრალდების მხარისათვის, დოკუმენტების ასლების სახით, ინფორმაციის გადაცემა	10	10	15
6. სასამართლოში ბრალდებულის პირველ წარდგენასა ან/და აღკვეთის ღონისძიების შერჩევაში მონაწილეობა	20	25	30
7. სააპელაციო სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/გაუქმების შესახებ საჩივრის განხილვაში მონაწილეობა	25	30	35
8. სამოქალაქო სარჩელის მომზადება და წარდგენა	30	40	50

პირველი ინსტანცია			
განხორციელებული მოქმედებები	ანაზღაურების ოდენობები		
	ნაკლებად მძიმე/მძიმე კატეგორია	განსაკუთრებით მძიმე/მრავალეპიზოდიანი	რამდენიმე პირის ერთდროულად დაცვა
1. ნაფიც მსაჯულთა შერჩევაში მონაწილეობა	40	50	60

2. წინასასამართლო სხდომაში მონაწილეობა	20	25	30
2[1]. საპროცესო შეთანხმების შესახებ განცხადების მომზადება და წარდგენა(აღნიშნული დოკუმენტი ერთ ს/ს საქმეზე ექვემდებარება მხოლოდ ერთჯერად ანაზღაურებას) (27.01.2016 N35)	10	10	10
3. შუამდგომლობის მომზადება და წარდგენა/წარმოთქმა	12	15	20
4. საჩივრის მომზადება და წარდგენა/წარმოთქმა	12	15	20
5.შესავალი სიტყვის წარმოთქმა	20	25	30
6.საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობა			
ა) ამოღება	12	12	15
ბ) ჩხრეკა	12	12	15
გ) დათვალიერება	12	12	15
დ) ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის	12	12	15
ე) ამოცნობა	12	12	15
ვ) საგამოძიებო ექსპერიმენტი	15	20	25
ზ) გვამის ექსჰუმაცია	35	35	35
თ) გამოკითხვა	12	12	15
ი) დაკითხვაში მონაწილეობის მიღება	7	7	10
7) ადვოკატის მიერ მტკიცებულებების მოპოვება და საქმეზე დართვა			
ა) მტკიცებულება ს/ს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარმოებების შესახებ	30	35	40
ბ) პიროვნების მახასიათებელი მტკიცებულება	10	10	15
8. დაცვის მხარის მიერ , შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე, ბრალდების მხარისათვის, დოკუმენტების ასლების სახით, ინფორმაციის გადაცემა	10	10	15

9.დასკვნითი/საკამათო სიტყვის წარმოთქმა	20	25	30
10.შეწყალების შესახებ განცხადების მომზადება და წარდგენა(აღნიშნული დოკუმენტი ერთ ს/ს საქმეზე ექვემდებარება მხოლოდ ერთჯერად ანაზღაურებას)	12	15	20
11. სასჯელის დანიშვნის სხდომაში მონაწილეობა	15	20	25

აპელაცია			
განხორციელებული მოქმედებები	ანაზღაურების ოდენობები		
	ნაკლებად მძიმე/მძიმე კატეგორია	განსაკუთრებით მძიმე/მრავალეპიზოდიანი	რამდენიმე პირის ერთდროულად დაცვა
1. სააპელაციო საჩივრის მომზადება და წარდგენა	20	25	30
2. სააპელაციო საჩივრზე შესაგებლის მომზადება და წარდგენა	12	15	20
2[1]. საპროცესო შეთანხმების შესახებ განცხადების მომზადება და წარდგენა(აღნიშნული დოკუმენტი ერთ ს/ს საქმეზე ექვემდებარება მხოლოდ ერთჯერად ანაზღაურებას) (27.01.2016 N35)	10	10	10
3. შუამდგომლობის მომზადება და წარდგენა/წარმოთქმა	12	15	20
4. საჩივრის მომზადება და წარდგენა/წარმოთქმა	12	15	20
5. შესავალი სიტყვის წარმოთქმა	20	25	30
6. ადვოკატის მიერ მტკიცებულებების მოპოვება და საქმეზე დართვა			
ა) მტკიცებულება ს/ს საქმის ფაქტობრივი და იურიდიული გარემოებების შესახებ	30	35	40

ბ) პიროვნების მახასიათებელი მტკიცებულება	10	10	15
7. დაკითხვაში მონაწილეობის მიღება	7	7	10
8. გამოკითხვა	12	12	15
9. დაცვის მხარის მიერ, შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე, ბრალდების მხარისათვის, დოკუმენტების ასლების სახით, ინფორმაციის გადაცემა	10	10	15
10. დასკვნითი/საკამათო სიტყვის წარმოთქმა	20	25	30
11. .შეწყალების შესახებ განცხადების მომზადება და წარდგენა(აღნიშნული დოკუმენტი ერთ ს/ს საქმეზე ექვემდებარება მხოლოდ ერთჯერად ანაზღაურებას)	12	15	20
12. კერძო სააპელაციო საჩივრის მომზადება და წარდგენა	15	20	25

კასაცია			
განხორციელებული მოქმედებები	ანაზღაურების ოდენობები		
	ნაკლებად მძიმე/მძიმე კატეგორია	განსაკუთრებით მძიმე/მრავალეპიზოდიანი	რამდენიმე პირის ერთდროულად დაცვა
1. საკასაციო საჩივრის მომზადება და წარდგენა, რომელიც დაუშვებლად იქნა ცნობილი	20	25	30
2. კერძო საკასაციო საჩივრის მომზადება და წარდგენა, რომელიც დაუშვებლად იქნა ცნობილი	15	20	25
2[1]. საპროცესო შეთანხმების შესახებ განცხადების მომზადება და წარდგენა(აღნიშნული დოკუმენტი ერთ ს/ს საქმეზე ექვემდებარება მხოლოდ ერთჯერად ანაზღაურებას) (27.01.2016 N35)	10	10	10
3. საკასაციო საჩივრის მომზადება და წარდგენა, რომელიც დასაშვებად იქნა ცნობილი	30	40	50

4. კერძო საკასაციო საჩივრის მომზადება და წარდგენა, რომელიც დასაშვებად იქნა ცნობილი	20	25	30
5. საკასაციო შესაგებლის მომზადება და წარდგენა	30	40	50
6. საკასაციო საჩივრის განხილვაში მონაწილეობა (სიტყვით გამოსვლა)	40	45	55
7. შეწყალების თაობაზე განცხადების მომზადება	12	15	20
8. საჩივრის მომზადება და წარდგენა/წარმოთქმა	12	15	20

დამატებით ანაზღაურება სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი შედეგებისათვის

#	შედეგი	ანაზღაურების ოდენობა
1.	ადვოკატის შუამდგომლობის (საჩივრის) საფუძველზე ს/ს დევნის შეწყვეტა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასაცავი პირი გარდაიცვალა)	
ა.	ნაკლებად მძიმე	100
ბ.	მძიმე	150
გ.	განსაკუთრებით მძიმე	200
2.	ადვოკატის შუამდგომლობის (საჩივრის) საფუძველზე ს/ს დევნის შეწყვეტა ბრალდების ნაწილში (თითოეულ ეპიზოდში)	
ა.	ნაკლებად მძიმე	20
ბ.	მძიმე	30
გ.	განსაკუთრებით მძიმე	40
3.	ადვოკატის შუამდგომლობის/მოთხოვნის საფუძველზე ბრალდებულის პირველი წარდგენისას პროკურატურის მოთხოვნილზე მსუბუქი სახის აღკვეთი ღონისძიების შეფარდება	40
4.	ადვოკატის შუამდგომლობის/მოთხოვნის საფუძველზე ბრალდებულის პირველი წარდგენისას პროკურატურის მოთხოვნილზე მსუბუქი ხასიათის აღკვეთი ღონისძიების შეფარდება	20
5.	ადვოკატის შუამდგომლობის/მოთხოვნის საფუძველზე ბრალდებულის პირველი წარდგენისას აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე უარის თქმა	60
6.	ადვოკატის საჩივრის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში პროკურატურის მოთხოვნილზე მსუბუქი სახის აღკვეთი ღონისძიების შეფარდება	50
7.	ადვოკატის საჩივრის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში პროკურატურის მოთხოვნილზე მსუბუქი ხასიათის აღკვეთი აღკვეთის ღონისძიების შეფარდება	30
8.	ადვოკატის საჩივრის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმება	80
9.	ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განხილვისას (წინასასამართლო სხდომა, პირველი ინსტანცია) შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიებით	40
10.	ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე , საქმის განხილვისას (წინასასამართლო სხდომა, პირველი ინსტანცია) შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა უფრო მსუბუქი ხასიათის აღკვეთის ღონისძიებით	20
11.	ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე , საქმის არსებითი განხილვისას (წინასასამართლო სხდომა, პირველი ინსტანცია) შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმება.	70

12.	ადვოკატის შუამდგომლობის დაკმაყოფილება გირაოს სახით უძრავ ნივთზე ყადაღის დადების თაობაზე	20
13.	ადვოკატის შუამდგომლობის (საჩივრის), მოთხოვნის საფუძველზე გამოძიებაში პირისათვის წაყენებული ბრალდების შემსუბუქება - გადაკვალიფიცირება, პირველ ინსტანციაში/აპელაციაში/კასაციაში პირისათვის წაყენებული ბრალდების, სასჯელის შემსუბუქება - გადაკვალიფიცირება	
ა.	ნაკლებად მძიმე	60
ბ.	მძიმე	80
გ.	განსაკუთრებით მძიმე	100
14.	ადვოკატის შუამდგომლობის/საჩივრის/მოთხოვნის საფუძველზე განაჩენის აღსრულების გადავადება	70
15.	ადვოკატის შუამდგომლობის/საჩივრის/მოთხოვნის საფუძველზე სასჯელის მოხდისაგან შემდგომი გათავისუფლება (გარდა შეწყალებისა და ამნისტიის შემთხვევისა)	80
16.	საპროცესო შეთანხმება	
ა.	ნაკლებად მძიმე	25
ბ.	მძიმე	35
გ.	განსაკუთრებით მძიმე	50
17.	გამამართლებელი განაჩენი	
ა.	ნაკლებად მძიმე დანაშაულის საქმეზე	200
ბ.	მძიმე დანაშაულის საქმეზე	300
გ.	განსაკუთრებით მძიმე	450
18.	სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული	
ა.	ნაკლებად მძიმე დანაშაულის საქმეზე	50
ბ.	მძიმე დანაშაულის საქმეზე	70
გ.	განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეზე	100
19.	ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოში ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლოს განაჩენის გაუქმება/შეცვლა მსჯავრდებულის სასარგებლოდ	100
20.	ადვოკატის საჩივრის საფუძველზე საკასაციო ინსტანციაში ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლოს განჩინების შეცვლა/გაუქმება მსჯავრდებულის სასარგებლოდ.	130
21.	ადვოკატის შუამდგომლობის /საჩივრის/მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის პირობით მსჯავრად ჩათვლა (გარდა საპროცესო შეთანხმებისა).	100
22.	ადვოკატის შუამდგომლობის /საჩივრის/მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა (გარდა საპროცესო შეთანხმებისა).	70
23.	ადვოკატის ინიციატივითა და მონაწილეობით განრიდებისა და მედიაციის გამოყენება	100

24.	ადვოკატის განცხადების/შუამდგომლობის/საჩივრის საფუძველზე დასაცავი პირის მიმართ პირობითი მსჯავრის გაუქმება, ნასამართლობის მოხსნა, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა, ხანდაზმულობის ან ავადმყოფობის გამო სასჯელისგან გათავისუფლება.	100
25.	ადვოკატის საჩივრის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიერ ხელახალი სასამართლო განხილვისათვის საქმის დაბრუნება სააპელაციო ან I ინსტანციის სასამართლოში	80
26.	ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე განაჩენის გადავადება	70
27.	დაზარალებულის დაცვის შემთხვევაში სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება	50